პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულებით (09.01.2020წ) „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეწყობის საფუძველზე დელეგირების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 938 664.85 ლარი სკოლების მშენებლობა - რეაბლიტაციის 760 000 ლარი და მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის 178 664.85 ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2020 წელს აღებულ ვადებულებებს რომლის დაფინანსებაც ვერ მოხდა, რადგანაც გარკვეული პროექტები ვერ დასრულდა 2020 წელს.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

### (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდობის მრავალმხრივ განვითარებას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა



ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

ათას ლარში

		2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 540.13	3,239.68	6674,8

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
პროგრამის დასახელება:	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	5278,4 ათ ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით, ქ. ქარელში 2021 წელს დასრულდება და ექსპლუატაციაში შევა საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც 2020 წელს დაიწყო. მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ასევე დაგეგმილია სპორტული მოედნის მშენებლობა და რეაბილიტაცია ქარელში ორი, ურბნისში, სალოლაშენი ( რეაბილიტაცია ), მოხისი, ბრეთის მეურნეობა , ბებნისის მეურნეობა ( რეაბილიტაცია ) და სხვა ღონისძიებები. მოეწყობა ტრენაჟორები და საჩრდილობელი ფანჯატურები შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: კეხიჯვარში, რუისში- 2 ცალი , თამარაშენში , წვერში, დირბში, ქარელში, აგარაში, ქვენატკოცაში, ურბნისში და სხვა.</p> <p>პროგრამით განხორციელდება ასევე ის პროექტები, რომლებიც ვერ დასრულდა 2020 წელს და აღებულია ვალდებულებად.</p>
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 02
პროგრამის დასახელება:	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	610.0 ათ ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტში სპორტული მიმართულებით სწავლების გაძლიერება, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარება, წარმატებული სპორტსმენების წარმოჩენა და სპორტის სახეობების პოპულარიზაცია.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობების სწავლებები: ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის (მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა), კიკბოქსინგის, ჯიუ-ჯიცუს, ხელბურთის, ფრენბურთის მიმართულებით. დააფინანსდება ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებები და ტურნირები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით და ჩატარდება სხვა ღონისძიებები.</p>
	წარმატებული სპორტსმენების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა



მოსალოდნელი შედეგი	სახეობების პოპულარიზაცია.
--------------------	---------------------------

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 02</b>
პროგრამის დასახელება:	<b>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>27,8 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის ზრდას, სახელოვნებო განათლების განვითარებას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 03</b>
პროგრამის დასახელება:	<b>ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>311.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;</p> <p>ქარელის მუნიციპალიტეტში, სახელოვნებო განათლების მიმართულებით, თ, საქმიანობას ახორციელებს სამი სახელოვნებო სკოლა - ქარელის ხელოვნების სკოლა (ბრეთის განყოფილებით), ნანული დამბაშიძის სახელობის აგარის ხელოვნების სკოლა და რუისის ხელოვნების სკოლა. ხელოვნების სკოლებში სულ დასაქმებულია 70 თანამშრომელი, ქარელის ხელოვნების სკოლაში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს - 150 მოსწავლეს, ბრეთის განყოფილებაში - 60-ს, ნანული დამბაშიძის სახ. აგარის ხელოვნების სკოლაში - 164-ს და რუისის ხელოვნების სკოლაში - 168-ს; სკოლები ხელს უწყობენ წარმატებულ მოსწავლეებს და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში; წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები სახელოვნებო მიმართულებით, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ხელოვნების სკოლების მოსწავლეები. ხელოვნების სკოლებში ბავშვები სწავლობენ კლასიკურ და ხალხურ მუსიკას, ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას, სოლფეჯიოს, მუს-ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნების ისტორიას; მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, აგრეთვე ადგილობრივ ღონისძიებებში. 2020 წელს გაიზარდა მოსწავლეთა ოდენობა წინა წელთან შედარებით 60-მდე ერთეულით;</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის მიმზიდველი სახელოვნებო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, ხელოვნების პოპულარიზაცია, მოსახლეობის ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 04</b>
--------------------------------------	-----------------



პროგრამის დასახელება:	<b>ბიბლიოთეკების ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>43.1 ათ ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, წიგნადი ფონდის განახლება და წიგნის პოპულარიზაცია.</p> <p>ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკა ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნების და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ერთერთი განყოფილებაა, რომლის -წიგნადი ფონდი შეადგენს 25 949 ეგზემპლარს 85979,08 ლარის ღირებულებით. დასაქმებულია 10 თანამშრომელი, რომლებიც ემსახურებიან ყველა ასაკის მკითხველს.</p> <p>წლის განმავლობაში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები: ერთად კითხვის საღამოები, ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. განახლდება წიგნადი ფონდი და მოეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები წიგნის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>05 02 05</b>
პროგრამის დასახელება:	<b>კულტურის ცენტრის ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>150.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში.</p> <p>კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას განხორციელებს სხვადასხვა წრეების და შემოქმედებითი ჯგუფების საშუალებით; ქარელის მუნიციპალიტეტში ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს: მამაკაცთა ანსამბლი „ქარელი“ - 15 მამაკაცი შემადგენლობით, ხალხური საკრავების წრე (დოლი), ხალხური საკრავების წრე (ფანდური, სალამური), ბავშვთა დრამატული წრე, თოჯინების თეატრი, სამეჯლისო ცეკვები, ქორეოგრაფიული ანსამბლები „იბერიელები“ და „ქარელი“, დრამატული წრე, მოყვარულთა თეატრი (რომელთა მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ თავად კულტურის სახლის შემოქმედებითი ჯგუფები; კულტურის ცენტრში შემოქმედებით სახელოვნებო განათლებას ღებულობს და მიიღებს 500- ზე მეტი მოსწავლე.</p> <p>წრეები და გუნდები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ, რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა, კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრებით დაინტერესება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>05 02 06</b>
პროგრამის დასახელება:	<b>მუზეუმების ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“



დაფინანსება	<b>31,7 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია.</p> <p>ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელშიც დაცულია 3000 ექსპონატი. იგი იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 3000 ერთეულს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში შემენილი იქნება ინვენტარი და ტექნიკა საკონფერენციო დარბაზისათვის (მაგიდა, სკამები, კომპიუტერები, პროექტორი, პროექტორის ფარდა, წყლის დისპენსერი), მოეწყობა სტელაჟები და თაროები ექსპონატებისათვის, მოღებრები საგამოფენო სივრცისათვის, მოეწყობა ჩვენებები, შემოქმედებითი საღამოები, ისტორიის ვიქტორინები, კონფერენციები, წიგნის მკითხველთა კლუბი, მოხდება ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებსა და ზოგადად თვითმმართველობის ცხოვრებაში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და მოსახლეობის დაინტერესების ზრდა.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 07</b>
პროგრამის დასახელება:	<b>მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>42.3 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ქართული ხალხური მრავალხმოვანი სიმღერების პოპულარიზაცია.</p> <p>ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მამაკაცთა ფოლკლორული გუნდი - „ქარელი“- 15 მამაკაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში, რითაც პოპულარიზაციას უკეთებენ ქართულ ხალხურ მრავალხმოვან სიმღერას ქარელის მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 08</b>
პროგრამის დასახელება:	<b>კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების ადმინისტრაცია</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>66. 60 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანის ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</p> <p>ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ ადმინისტრაცია შედგება 7</p>





	თანამშრომლისგან, რომლების მართავენ და ორგანიზებას უწევენ გაერთიანებაში შემავალი ფილიალების საქმიანობას და მათ ფუნქციონირებას. გაერთიანებას, გამართულად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება დასაქმებულთა შრომის, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფარვა მოხდება ასიგნებების ფარგლებში.
მოსალოდნელი შედეგი	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირება და განყოფილებების საქმიანობის ორგანიზება, მართვა.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 09</b>
პროგრამის დასახელება:	<b>საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>17.10 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა, დაინტერესების ზრდა, ცნობადობის ამაღლება და ჩართულობის გაზრდა.  საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით დასაქმებულია 3 თანამშრომელი და წლის განმავლობაში გამოიცემა მუნიციპალური გამოცემა „ქარელის მოამბის“ 18 000 ეგზემპლარი. აღნიშნულ გაზეთში შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და სხვა სიახლეები, ასევე მოსახლეობის პრობლემები და მიღებული სამართლებრივი აქტები. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში
მოსალოდნელი შედეგი	ინფორმირებული და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>05 02 10</b>
პროგრამის დასახელება:	<b>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>60.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის, ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა.  პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარება, რითაც ხელი შეეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრიმი ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 11
პროგრამის დასახელება:	<b>ტურიზმის განვითარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>14.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა, რომლის მიზანია საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია.</p> <p>ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ ტურისტებისთვის შეთავაზებული პროდუქტი იქნება: ინფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული დანიშნულების ობიექტების შესახებ, როგორცაა: განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის განრიგი, მუზეუმები, გალერეები, ღვინის საწარმოები, ღვინის მარნები, ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების, ღირსშესანიშნაობების, კულტურული მემკვიდრეობის ინტერესიდან გამომდინარე, ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ტურის დაგეგმვაში დახმარება, ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ფესტივალების შესახებ (ეროვნული, კულტურული, გასართობი, სპორტული და სხვა); ბეჭდვითი მასალის გავრცელება (რეგიონისა და ქალაქის რუკები, ბროშურები, გზამკვლელები და სხვა). საინფორმაციო ცენტრში წარმოდგენილი იქნება სუვენირები და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია (წარმოებული ღვინო, ნატურალური თაფლი, ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა პროდუქცია, ქარელის ღირსშესანიშნაობების აღმნიშვნელი სუვენირები).</p>
მოსალოდნელი შედეგი	განვითარებული ტურიზმი, პოპულარიზებული მუნიციპალიტეტი, კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03
პროგრამის დასახელება:	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	<b>22.8 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების უანსადი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინიციატივები.





# ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათას ლარში

		2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	936,32	976,3	982,8

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ "ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"
დაფინანსება	125.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.</p> <p>აღნიშნული პროგრამა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული დელეგირებული ფუნქცია, რომლისათვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი ტრანსფერი. პროგრამა მოიცავს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვებას და წარდგენას დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენას და პროფილაქტიკას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, დეკლემინთიზაციას ანტიჰელმინთური პრეპარატის გაცემით, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას და შერჩევითი კონტროლის განხორციელებას. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინულ მონიტორინგს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.</p> <p>პანდემიის კოვიდ 19 პრევენციასთან დაკავშირებით გაიზარდა სუბსიდია</p>



მოსალოდნელი შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები.
--------------------	---

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 01</b>
პროგრამის დასახელება:	<b>გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>70.00 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა.</p> <p>უფასო სასადილოების კვების პროგრამით ისარგებლებს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო ოჯახის 90 ბენეფიციარი, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ უკვე რეგისტრირებული ბენეფიციარები, ხოლო ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში (გარდაცვალება, უარის თქმა პროგრამაზე, საირეიტინგო ქულის მომატება, რეგულარულად (14 დღე) არ გამოცხადება, რეგისტრაციის ადგილის შეცვლა (სხვა მუნიციპალიტეტში გადასვლა) და სხვა), ჩანაცვლება განხორციელდება სარეიტინგო ქულის, მრავალშვილიანობის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ყოველდღე, დღეში ერთხელ, დასვენების დღეების გარეშე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დღეში ერთხელ კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 02</b>
პროგრამის დასახელება:	<b>მოსახლეობის მკურნალობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>478.9 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p> <p>საქართველოში მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სხვადასხვა სახისა და მოცულობის, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროგრამები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ რომელიც ძალაშია 2013 წლის 28 თებერვლიდან, მოიცავს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა სერვისი, რომელსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. აღნიშნული დადგენილების მოქმედების სფეროში ვერ ხვდება ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ღირებულების სრული ანაზღაურება, რაც დღეის მდგომარეობით მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქარელის მუნიციპალიტეტში დამუშავდა მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მკურნალობის, ოპერაციის, ან გამოკვლევის (გარდა კოსმეტიკური პროცედურებისა) ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილის თანადაფინანსებას 40%-ით, მაგრამ არა უმეტეს 4000 ლარისა, წლის განმავლობაში ერთჯერადად.</p> <p>იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 120 000 ქულის ჩათვლით და რომელთა მკურნალობის ან ოპერაციის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილი არ აღემატება 300 ლარს,</p>



	<p>დაფინანსება განხორციელდება 100%-ით, ხოლო თუ თანხა აღემატება 300 ლარს, ემატება 300 ლარს ზემოთ დარჩენილი თანხის 40 %-ი, წლის განმავლობაში ერთჯერადად.</p> <p>დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები). დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: წინასწარი კალკულაცია (რომელიც უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის რეკვიზიტებს), ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და/ან სხვა დოკუმენტი-საჭიროების შემთხვევაში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მეტად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, კმაყოფილი მოსახლეობა.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 03</b>
პროგრამის დასახელება:	<b>მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>120.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, ოჯახების დახმარება და დემოგრაფიული პრობლემების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p> <p>მრავალშვილიან ოჯახებში, ახალშობილთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს იმ ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, რომელთაც შეეძინათ მესამე და ყოველი მომდევნო შვილი. პროგრამის მიხედვით, ოჯახს გაეწევა შემდეგი დახმარება: მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში 600 ლარი. მეოთხე შვილის დაბადების შემთხვევაში 800 ლარი. მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში 1000 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 1000 ლარზე 200-200 ლარის დამატებით. ტყუპების შემთხვევაში ინდივიდუალურად, რიგითობის გათვალისწინებით. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).</p> <p>დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, ბავშვის(ბავშვების) დაბადების მოწმობები, მშობლების/მშობლის (მეურვის/მზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი, განმცხადებლის (მშობელი, მეურვე და სხვა) საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.</p> <p>2020 წლის დეკემბრის თვეში დაბადებულ ახალშობილთა დახმარება (ანაზღაურების გაცემა) შესაძლებელია 2021 წლის პირველ თებერვლამდე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული მრავალშვილიანი ოჯახები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 04</b>
პროგრამის დასახელება:	<b>ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>40.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია ცელიაკით, ფენილკეტონურიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება.



პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული საკვებით კვება, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირებს უწყვეტ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცედურის ჩატარება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში.</p> <p>აღნიშნული დაავადებები წარმოადგენენ ისეთი დაავადებების ნოზოლოგიას, რომელთაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული მკურნალობა. პროგრამა ითვალისწინებს: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ცელიაკით, აგრეთვე ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის საკვებით დახმარებას, წლის განმავლობაში, თითოეულზე არა უმეტეს 2000 ლარისა, რომელიც საჭიროა შესაბამისი სახეობის საკვების შესაძენად, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირთათვის, ფინანსურ დახმარებას - წელიწადში ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით - გადაადგილებისათვის.</p> <p>დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები). დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: ცელიაკით ან/და ფენილკეტონურიით დაავადების შემთხვევაში: განცხადება, წინასწარი ინვოისი, ფორმა 100, პაციენტის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობის (ჰემოდიალიზის) შემთხვევაში: განცხადება, ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული ბენეფიციარები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 05
პროგრამის დასახელება:	სტუდენტების სოციალური დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	30.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მარჩენალდაკარგული, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის და სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების წლიურად ერთჯერადი დახმარება.</p> <p>დახმარებას მიიღებენ: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული სტუდენტები, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, პირველი ჯგუფის შშმ პირთა სტუდენტი შვილები, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტი შვილები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 50 000-მდე ქულის ჩათვლით) მოქალაქეთა სტუდენტი შვილები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში რეგისტრირებულ აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელში ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა). პროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებზე წლიურად სწავლის გადასახადის ერთჯერადად დაფინანსებას 500 ლარის ოდენობით. სტუდენტების სოციალური დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, სწავლის დამადასტურებელი ცნობა აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, განმცხადებლის/სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლ(ებ)ი, სასწავლებლის საბანკო რეკვიზიტები, მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლ(ებ)ი, პირველი ჯგუფის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან საერეიტინგო ქულათა ამონაწერი, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტების დაფინანსებული განათლება



პროგრამის დასახელება:	<b>შშმ პირების დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>33.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დახმარება, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და ინტეგრაცია.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს 25 წლამდე ასაკის შშმ პირების მიერ სარეაბილიტაციო კურსის გავლას შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში. დახმარების გაწევა ხორციელდება თითოეულ შშმ პირზე წლის განმავლობაში ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლებენ აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები.) დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, შშმ პირის პირადობის მოწმობის ასლი, მეურვეობის, მზრუნველობის/მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთი არსებობის შემთხვევაში), ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანხმობა - თანდართული ხარჯთაღრიცხვით. ორგანიზაციის რეკვიზიტები, შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული შშმ პირები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>06 02 07</b>
პროგრამის დასახელება:	<b>მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>25.2 ათ ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული (ტოტალური)უსინათლოების დახმარება.</p> <p>პროგრამის მონაწილეებს გაეწევათ წელიწადში ერთჯერადად ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება(მეურვის/მზრუნველის), პირადობის მოწმობის ასლი, მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული მკვეთრად გამოხატული უსინათლო ბენეფიციარები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>06 02 08</b>
პროგრამის დასახელება:	<b>სამამულო ომის ვეტერანების დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>1.0 ათ ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამამულო ომის ვეტერანების დახმარება.





პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სამამულო ომის ვეტერანების დახმარებას 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულზე ვეტერანზე 500 ლარის ოდენობით. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის მოწმობა, ან შესაბამისი ცნობა, საბანკო რეკვიზიტები.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული სამამულო ომის ვეტერანები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 09</b>
პროგრამის დასახელება:	<b>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>4.2 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება.  ღონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან (26 მაისი) დაკავშირებით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ რეგისტრირებულ (კოდი 945) თითოეულ ვეტერანზე 300 ლარის ოდენობით. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის მოწმობა და ინვალიდიობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, საბანკო რეკვიზიტები
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება გაწეული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 10</b>
პროგრამის დასახელება:	<b>100 წელს გადაცილებულ უზუცესთა დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>2.5 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია 100 წელს გადაცილებულ უზუცესების დახმარება.  წლის განმავლობაში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ უზუცესებზე 500 ლარის გადაცემა თითოეულ უზუცესზე ერთჯერადად. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: უზუცესის პირადობის მოწმობის ასლი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში - სხვა დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული 100 წელს გადაცილებული უზუცესები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 11</b>
--------------------------------------	-----------------



პროგრამის დასახელება:	<b>დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>1.0 ათ. ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება.</p> <p>ღონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება ორივე მშობლის გარდაცვალებისას - 500 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ბავშვის დაბადების მოწმობა, ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ბავშვის რეგისტრაციის შესახებ, მშობლების გარდაცვალების მოწმობები, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი, მეურვის/მზრუნველის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა დოკუმენტები - საჭიროების შემთხვევაში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>06 02 12</b>
პროგრამის დასახელება:	<b>უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>10.0 ათ. ლარი</b>
